პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 22 ივლისი, 1951 წ. № 171 (9025). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა.

მხურვალე სალამი საბჭოთა ფიზკულტურელების მრავალმილიონიან არმიას!

ამხანაგო ფიზკულტურელებო! დაეუფლეთ სპორტული ოსტატობის მწვერვალებს, ასახელეთ დედა-სამშობლო ახალი მიღწევებით!

ფიზკულტურელის საკავშირო დღე

დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა. საბჭოთა ხალხი ამ დღეს აღნიშნავს დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის შეუპოვარი ბრძოლის ვითარებაში. კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში დგას ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, დგანან ჩვენი შესანიშნავი ფიზკულტურელები.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქვეყანაში სპორტის მასობრივად განვითარების საქმეს. სპორტი აკაჟებს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობას, მატებს მათ ახალ ძალასა და ენერგიას შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს. უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა ბევრი ახალი სასპორტო კოლექტივი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიგები. საბჭოთა სპორტსმენები შეუპოვრად სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას.

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა საერთო წარმატებებში საპატიო ადგილი უკავიათ საქართველოს სპორტსმენებს. ისინი ფიზკულტურელის ტრადიციულ დღესასწაულს თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები თავიანთი შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით საგრძნობლად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები. ამჟამად რესპუბლიკის 6.000-მდე სასპორტო კოლექტივი 400 ათას სპორტსმენს აერთიანებს. ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ფიზკულტურისა და სპორტისადმი, ყოველწლიურად იმაღლებს თავისი სპორტული ოსტატობის დონეს.

არ არის სპორტის ისეთი სახე, რომლის მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო მიღწევები არ ჰქონდეთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს. ამიტომ არის, რომ საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობის დროს ისინი ერთ-ერთ უძლიერეს მეტოქეს წარმოადგენენ ყველა დანარჩენი გუნდისათვის. საქართველოში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სერიოზულ აღმავლობას ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტის ოსტატთა რიგები. დღეისათვის რესპუბლიკას ჰყავს 56 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 156 სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის 50 მსაჯი და რესპუბლიკური კატეგორიის 196 მსაჯი.

ის მიღწევები, რაც მოკლე ხანში ჩვენმა მძლეოსნებმა, ძალოსნებმა, კალათბურთელებმა, მოჭიდავეებმა და ალპინისტებმა მოიპოვეს, ლაპარაკობენ საქართველოს სპორტსმენების დაუცხრომელ მუშაობაზე თავიანთი სპორტული ოსტატობის სრულყოფისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიო რეკორდსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნინო დუმბაძემ წელს კიდევ უფრო გააუმჯობესა მის მიერვე მრავალი წლის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი და 27 მაისს ბადრო ტყორცნა 53 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე. საქვეყნოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნების ელენე გოკიელის, ლევან სანაძის და მრავალ სხვათა სარეკორდო მაჩვენებლები თარჯრბენში, სირბილში.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ფიზიკურ აღზრდას საფუძვლად უდევს კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის". რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებას ამ დარგში. შარშან „მშთ" ნიშნოსნების მომზადების გეგმა შესრულებულ იქნა 123,4 პროცენტით, „მშთ" I საფეხურისა — 101,5 და II საფეხურისა—103,8 პროცენტით.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ყოველდღიურად მტკიცდება სასპორტო ორგანიზაციები, მათი მუშაობა უფრო და უფრო მასობრივი ხდება. სპორტის კლასიკურ სახეებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტის ეროვნული სახეების — მარულას, ისინდის, ცხენბურთის, ლელობურთის და სხვათა შემდგომ განვითარებას. ფართოდ არის გაშლილი სტადიონებისა და სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა. მთავრობა ამ მიზნისათვის ბიუჯეტით ყოველწლიურად დიდ სახსრებს ითვალისწინებს.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რესპუბლიკაში ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. საგრძნობლად ჩამორჩება სპორტის ისეთი სახეების განვითარება, როგორიც არის ჭადრაკი, ტანვარჯიში, კრივი და სხვ. ეს იმის შედეგია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი, მისი ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები საკმაო დაინტერესებას არ იჩენენ სპორტის ამ სახეების განვითარებით, ნაკლებ დახმარებასა და კონტროლს უწევენ მწვრთნელებს და თანრიგოსნებს ახალი კადრების აღზრდისა და დახელოვნების საქმეში.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე ჩვენი ქვეყნის სპორტულ მიღწევათა შემოწმებისა და დათვალიერების დღეა.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა დაუღალავად განვავითაროთ ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც ნამდვილად მასობრივი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა, სრულყოფილი გავხადოთ საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა, ვიბრძოლოთ ახალი საკავშირო და მსოფლიო რეკორდებისათვის ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენი საბრძოლო ამოცანაა ვამზადოთ ახალგაზრდა თაობა შრომისათვის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის, აღვზარდოთ ძლიერი, გამბედავი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა და ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი საქმისა.

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი ამხ. **სანიკიძე**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **საყვარელიძე** და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მარნეულის რაიონში ამხ. **ცაგარეიშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 21 ივლისისათვის 100,5 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 4.005 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.

ხორბლის ჩაბარება გრძელდება.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ამხ. **მირიანაშვილი**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბუცხრიკიძე** და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ლაგოდეხის რაიონში ამხ. **მესხიშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ივლისისათვის 105 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 3.633 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.

ხორბლის ჩაბარება გრძელდება.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის გარდაბნის რაიკომის მდივანი ამხ. **ცირეკიძე**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მუსტაფა ოღლი** და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული გარდაბნის რაიონში ამხ. **ტერ-არუთინოვი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ივლისისათვის შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 966 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.

ხორბლის ჩაბარება გრძელდება.

კახელ და ქართლელ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

გორი. (საქ. კორ.). ტირიფონის ველზე მასობრივად მიმდინარეობს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. ყველა კოლმეურნე, ვისაც კი შრომა შეუძლია, მინდვრად გავიდა. პურისა და ქერის მოსავალმა ვარაუდს გადააჭარბა. გორელ კოლმეურნეთა დასახმარებლად შირაქიდან და ალაზნის ველიდან მოვიდნენ გამოცდილი კომბაინერები. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კახელ და ქართლელ კომბაინერთა შორის.

სოფელ ზედდულეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ყანები ტირიფონის ველზეა. კოლმეურნეები უხვად სარგებლობენ სარწყავი სისტემით, მექანიზაციით და სასუქებით. კოლმეურნეობის 850 ჰექტარ პურის ყანაში სამი კომბაინი მუშაობს. მტს-ის სახელოვანმა კომბაინერმა მიხეილ ლაზარიაშვილმა ალაზნის ველზე წელს 225 ჰექტარზე აიღო მოსავალი. ახლა ის თავისი კომბაინით ტირიფონის ველზე იღებს ბარაქიან მოსავალს, მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშს იძლევა, უკვე 105 ჰექტარზე აიღო მოსავალი.

— ჩემი გადაწყვეტილებაა, — თქვა ამხ. ლაზარიაშვილმა, — ტირიფონის ველზე 300 ჰექტარზე ავიღო მოსავალი. ამ ვალდებულებას პირნათლად შევასრულებ.

ამავე კოლმეურნეობაში ლაზარიაშვილის ახლოს მოსავალს იღებს ახალსოფლის მტს-ის კომბაინერი ვ. კრავჩენკო. იგი გამოცდილი კომბაინერია, მოსავლის აღების გეგმას ყოველ წელიწადს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. მან რამდენიმე ახალგაზრდა მოამზადა კომბაინერად. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. კრავჩენკო წელს გვიან შეუდგა მოსავლის აღებას, კომბაინ „კომუნარით" 60 ჰექტარზე აიღო მოსავალი. თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 19 ცენტნერი ხორბალი. მან ვალდებულება იკისრა 350 ჰექტარზე აიღოს მოსავალი.

მ. ლაზარიაშვილი და ვ. კრავჩენკო ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეში. ახალსოფლის მტს-ი სისტემატურად ამოწმებს შეჯიბრების მსვლელობას, აგიტატორები ფართო პოპულარიზაციას უკეთებენ მოწინავე კომბაინერთა გამოცდილებას. საამისოდ ფართოდ არის გამოყენებული საველე გაზეთები, აგიტატორთა საუბრები.

თელავის მტს-მა გადაჭარბებით შეასრულა მოსავლის აღების გეგმა

თელავი. (საქ. კორ.). თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა (დირექტორი ნ. ჩხოტუა, დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში თ. ნათელაძე) 20 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა. მოსავალი აღებულია 4.020 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 ჰექტარისა.

მოსავლის აღების საქმეში ბევრმა კომბაინერმა ისახელა თავი. ბაგრატ ნახუცრიშვილმა „სტალინეც-6"-ით 340 ჰექტარი მომკა, გეგმა კი 280 ჰექტარს ითვალისწინებდა. მოსავლის აღების გეგმები გადამეტებით შეასრულეს აგრეთვე კომბაინერებმა თ. კაჭკაჭიშვილმა, ლ. მიტყაშვილმა, დ. გიგოლაშვილმა და სხვებმა.

მტს-ის კომბაინერები მოსავლის აღებას განაგრძობენ.

შრომადღეზე სამი კილოგრამი ხორბალი ავანსად

ყვარელი. (საქ. კორ.). შილდის კოიბიჭევის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს, მოსავლის აღება ვადამდე დაამთავრა. შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე საშუალოდ 5 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღეს.

კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების ყველა სახის ვალდებულება. ჩაბარებულია 530 ტონა პური. კოლმეურნეობამ გამოჰყო სათესლე ძალაა. მომზადებულია 250 ტონა თესლი.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დამთავრებისა და სათანადო ფონდების გამოყოფის შემდეგ კოლმეურნეობამ თითოეულ შრომადღეზე სამი კილოგრამი ხორბალი გასცა ავანსად. ბევრი კოლმეურნის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეზე ორი-სამი ტონა ხორბალი მიიღო.

ფოტომონტაჟი. ი. კალაძისა

ფიზკულტურელის საკავშირო დღის წინ

ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. 22 ივლისს დედაქალაქის სტადიონებზე, სასპორტო მოედნებზე, წყალჯომარდობის სადგურებსა და კულტურისა და დასვენების პარკებში გაიმართება მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი. შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ფრენბურთელები, ფეხბურთელები, ქალაქობიას მოთამაშენი, ნიჩბოსნები, მცურავები.

„დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვასა და კალათბურთში სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრების მონაწილეთა პარადი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები.

„სტალინეცის" სტადიონზე მოეწყობა სტალინისა და სოკოლნიკის რაიონების ფიზკულტურელთა დღესასწაული. მოჭიდავეთა, ტანმოვარჯიშეთა, შტანგისტთა, ველოსიპედისტთა, ქალაქობიას მოთამაშეთა საჩვენებელი გამოსვლები გაიმართება სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის" სტადიონზე.

საზოგადოება „ტრუდის" სტადიონზე მოეწყობა შეჯიბრება კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის პირველობაზე მძლეოსნობაში.

მოსკოვის გარეუბანში დედაქალაქის უძლიერესი მოტოციკლისტები მონაწილეობას მიიღებენ მოტოციკლისტთა კროსში.

მდინარე მოსკოვზე გაიმართება ნიჩბოსანთა შეჯიბრება.

გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, იზმაილოვისა და სოკოლნიკის პარკებში კვირას მოეწყობა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული. აქ გაიმართება დედაქალაქის უძლიერეს სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები. (საქდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 20 ივლისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივლისისა, ივნისის დანაკლისის ჩათვლით	რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივლისისა, ივნისის დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	61,1	53,1	წყალტუბოს	60,7	38,1
ქობულეთის	60,2	50,9	ტყიბულის	72,1	65,0
გალის	63,0	49,4	ცხაკაიას	64,9	50,0
ოჩამჩირის	71,1	55,0	აბაშის	55,1	51,1
გულრიფშის	87,5	53,7	ვანის	64,0	51,8
სოხუმის	110,3	95,0	ზუგდიდის	62,4	56,2
გუდაუთის	83,4	63,0	წალენჯიხის	59,3	50,2
მახარაძის	62,8	50,3	ხობის	65,2	54,7
ჩოხატაურის	69,8	47,5	ხობის	72,2	53,9
ლანჩხუთის	65,1	46,6	თერჯოლის	85,3	36,2
სამტრედიის	74,7	55,9	ზესტაფონის	77,8	38,5
წულუკიძის	65,4	48,3	სულ საქართველოს სსრ	64,0	51,4
ქუთაისის	69,5	39,6			

ბაღ-პარკის ზონა ლენინგრადის მახლობლად

ლენინგრადი, 20 ივლისი. (საქდესი). ლენინგრადიდან 30-48 კილომეტრის რადიუსით 1.100 ჰექტარზე მეტ ფართობზე შექმნილია ბაღ-პარკის ზონა. მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით იმ ტერიტორიაზე, რომელიც ესაზღვრება ქალაქის მთავარ მაგისტრალებსა და რკინიგზებს, ქალაქის მისასვლელებთან — ლენინგრადიდან სესტრორეცკამდე, კოლპინომდე, პუშკინამდე, გატჩინამდე, კრასნოე სელომდე, პარგოლოვომდე, ლომონოსოვამდე მიმდინარე წლის შემოდგომასა და მომავალი წლის გაზაფხულზე დარგული იქნება 300 ათასამდე ძირი ხეხილი, 600 ათასი კენკრის ბუჩქი, 100 ათასზე მეტი დეკორაციული ხე და ბუჩქი. ნარგავთა საერთო სივრცე 230 კილომეტრია.

ათობით ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობას იღებს ამ დიდი სამუშაოს შესრულებაში, უკვე შეუდგა მზადებას საშემოდგომო სამუშაოებისათვის. ს. მ. კიროვის სახელობის სატყეო ტექნიკური აკადემიის, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის, ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სხვა სასწავლებლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მეცნიერები შეუდგნენ ნარგავების პროექტების შედგენას. ნარგავების გასაშენებელ ადგილებზე მიემგზავრებიან არქიტექტორები.

ათასობით ლენინგრადელი მიიღებს მონაწილეობას ბაღ-პარკის ზონის შექმნაში. ქალაქის ყველა რაიონული კომკავშირული ორგანიზაცია ეხმარება სამუშაოთა მწარმოებელ განსაზღვრულ ორგანიზაციებს.

ჩარხები დიდი მშენებლობისათვის

მოსკოვის კალინინის სახელობის სამშენებლო ინსტრუმენტთა ქარხნის კოლექტივმა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებს გაუგზავნა ექვსი მილსაღუნავი ჩარხი. (საქდესი).

ვასახელოთ დედა-სამშობლო ახალი საკავშირო და მსოფლიო რეკორდებით, სპორტში ახალი მიღწევებით!

★

მეტი ყურადღება ჭადრაკს

ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა ფართო მასებში. საბჭოთა საქართველოში საჭადრაკო ხელოვნების განსავითარებლად გაწეულ იქნა დიდი მუშაობა, რის შედეგადაც შეიქმნა და გაიზარდა კვალიფიციურ მოჭადრაკეთა

კადრი. თუ 1921 წლამდე არც ერთი მაღალკვალიფიციური მოჭადრაკე არ გვყავდა, დღეს ჩვენი ორგანიზაცია თავის რიგებში 30.500-მდე ორგანიზებულ მოჭადრაკეს ითვლის, რომელთაგან 2 ოსტატია, 11 ოსტატობის კანდიდატი, 130 პირველთანრიგოსანი და სხვ.

თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში მუშაობენ კარგად მოწყობილი საჭადრაკო კლუბები. სისტემატურად ეწყობა რესპუბლიკისა და ცალკეული ქალაქების ჩემპიონატები, აგრეთვე მრავალი ტურნირი და შეჯიბრებები როგორც უფროსი ასაკის, ისე მოზარდი მოჭადრაკეებისათვის. ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში შექმნილია საჭადრაკო წრეები, რომლებშიც სერიოზული მუშაობა წარმოებს მოჭადრაკეთა ახალი ნიჭიერი კადრების გამოსავლინებლად და დასახელოვნებლად. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საერთო განვითარების დონეს.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენი მოჭადრაკეები არადამაკმაყოფილებელ სპორტულ შედეგებს აღწევენ საკავშირო მასშტაბით მოწყობილ შეჯიბრებებში. პარტიისა და მთავრობის ყურადღება ჭადრაკის განვითარების საკითხისადმი სათანადოდ უნდა შეაფასონ ჩვენმა მოჭადრაკეებმა, მათ უკეთესად უნდა იბრძოლონ ჭადრაკში რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად.

ა. ფირცხალავა
ოსტატობის კანდიდატი

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით

ტანვარჯიშში დავიწყე 1934 წლიდან, როდესაც 18 წლისა ვიყავი. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო სპორტის ოსტატი გ. მამარდაშვილი. 1935 წელს უმაღლესი სასწავლებლების ხაზით მოწყობილ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოვიპოვე. ამან წამახალისა.

გაცხოველებით დავიწყე ვარჯიში. ვმონაწილეობდი ყოველ შეჯიბრებაში, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პირველობაზე. რამდენჯერმე შევდიოდი საკავშირო ტანმოვარჯიშეთა პირველ ათეულში. სპორტის ოსტატობა მომანიჭეს 1939 წელს ქ. კიევში. იქ საკავშირო შეჯიბრებაზე ვიყავი და ქალთა შორის ამ სახეობის სპორტში ერთი პირველთაგანი გავხდი ოსტატი.

საქართველოს სპორტსმენ ქალთა შორის ტანვარჯიშის ოსტატები არიან: საქართველოს 1951 წლის ჩემპიონი ლილი გელუკაშვილი, თამილა გვენცაძე, მზია ჯულელი, დოდო ციხითათრიშვილი, ემა სტეპანოვა და სხვ.

სპორტის ამ სახეში მოპოვებული წარმატებანი მაინც არადამაკმაყოფილებელია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავზარდოთ ტანმოვარჯიშე ოსტატ ქალთა რიცხვი, გავაძლიეროთ მუშაობა ბავშვთა შორის, კერძოთ გოგონებს შორის, ამ საქმეში სამუშაოდ ჩავაბათ ოსტატი ქალები, რომლებსაც შეუძლებათ გამოზარდონ ახალი თანრიგოსნები და ოსტატები.

თინა ქოიავა
სპორტის ოსტატი

★ ★ ★

პირნათლად შევასრულებთ პარტიისა და მთავრობის დავალებას

ამჟამად აფხაზეთში ფიზკულტურის 581 ძირეული კოლექტივია, რომელშიც გაერთიანებულია 42.459 წევრი. სპორტის სხვადასხვა სექციებსა და გუნდებში ათეულ ათასობით ადამიანია ჩაბმული. ყოველდღიურად უმჯობესდება სპორტსმენთა შორის მუშაობა, იზრდება რეკორდსმენთა და ოსტატთა რიგები.

აფხაზეთის ნაკრები გუნდები ხშირად მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ქალაქ სოხუმის კალათბურთელებმა წელს საქართველოს ხუთი ქალაქის შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო მძლეოსნებმა რესპუბლიკის თასი მოიპოვეს.

შესამჩნევად გაუმჯობესდა წინათ ჩამორჩენილი ველოსპორტის საქმე, ამაღლდა ველოსიპედისტთა ტექნიკური ოსტატობა. მათ პირველი ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებაში.

მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან ფიზკულტურელის დღეს ნორჩი მოკრივეები და თიხბურთელები. აღსანიშნავია ახალგაზრდა სპორტსმენების იაშვილის, ნადარეიშვილის და სხვათა წარმატება. მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარებაში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად გაუმჯობესდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების საქმე. აფხაზეთში დღეისათვის მარტო მშთ ხაზით ყველა საფეხურის 7.474 ნიშნოსანი გვყავს. ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება კარგად არის დაყენებული სოხუმის, ტყვარჩელის საქალაქო, გუდაუთისა და გაგრის რაიონების ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში.

გვაქვს ნაკლიც. ზოგიერთი სასპორტო საზოგადოება და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი არასკმაოდ წარმართავს სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას, ნაკლებად ზრუნავს სასპორტო შეჯიბრების მოწყობისათვის, ნიშნოსანთა მომზადების საქმის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, საზოგადოება „პიშჩევიკსა“ და „ლოკომოტივს“ წელს არც ერთი სპორტული ღონისძიება არ განუხორციელებიათ. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს გულრიფშის რაიონის სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნე“.

აფხაზეთის ფიზკულტურული კოლექტივები გამოასწორებენ ნაკლოვანებებს, წარმატებით იბრძოლებენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის.

ი. წურწუმია
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარელ ფიზკულტურელთა მიღწევები

უკანასკნელ წლებში აჭარაში ფიზკულტურა და სპორტი სწრაფი ალმავლობით ხასიათდება. თუ 1941 წელს აჭარაში 241 ფიზკულტურული კოლექტივი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 483 შეადგენს. ამ კოლექტივებში გაერთიანებულია 35.559 სპორტსმენი.

განსაკუთრებით გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ფიზკულტურული კოლექტივები სოფლად. ამჟამად აჭარის სოფლებში შექმნილია 135 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 14.062 წევრი.

ჩვენი სოფლის სპორტსმენები ამჟამად წარმატებით მონაწილეობენ არა მარტო აჭარის, არამედ აგრეთვე საქართველოს პირველობაზე სპორტის სხვადასხვა სახეში გამართულ შეჯიბრებებში. ქობულეთის რაიონის ლელობურთელთა გუნდმა შარშან რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა, ხოლო ამავე რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს კოლმეურნე ფეხბურთელთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა. ასევე პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს პირველობაზე კოლმეურნე ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში ბათუმის რაიონის სპორტსმენებმა.

აჭარაში სპორტის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ხულოს კოლმეურნე მეთხილამურეთა გამარჯვება, რომლებმაც წელს წარმატებით ჩაატარეს სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ხულო-გორი.

წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს პირველობაზე სპორტის სხვადასხვა სახეში აჭარის ნაკრები გუნდებიც. ველოსპორტელთა აჭარის ნაკრებმა გუნდმა საქართველოს მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავა.

ამჟამად აჭარის სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი შეხვედრებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია სასპორტო ღონისძიებათა კალენდარული გეგმით.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე აჭარაში ტარდება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი ალმავლობისა და მასობრიობისათვის ბრძოლის ნიშნით.

შ. მჟავანაძე
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

უფრო ნაყოფიერად მოვაწყობთ მუშაობას

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას დიდად უწყობს ხელს ოლქში მოწყობილი შეჯიბრებანი. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ოლქში განხორციელებულ იქნა 85 მასობრივი ღონისძიება. მათში მონაწილეობა მიიღო 4.200-ზე მეტმა სპორტის მოყვარულმა. ამავე ხნის განმავლობაში მომზადებულ იქნა „მშთ“ I საფეხურის 1.600-მდე ნიშნოსანი, II საფეხურის 100-ზე მეტი ნიშნოსანი, „იმშთ“ — 650 ნიშნოსანი.

სპორტსმენები სისტემატურად იმაღლებენ ოსტატობას, აღწევენ ახალ წარმატებებს. ოლქში ფართოდ არის ცნობილი ახალგაზრდა სპორტსმენის ტანმოვარჯიშე თამარ ქოქოევას წარმატება. საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში იგი ყოველთვის სამაგალითო შედეგებს აღწევს. ტანვარჯიშში მაღალ ოსტატობას გვიჩვენებენ ახალგაზრდა სპორტსმენი ანტონინა კასრაძე, ამხანაგები ა. კოჩიევი, ლ. კვალინიძე, ა. კაბისოვა და სხვ.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდების საყვარელი სპორტი — ქართული ჭიდაობა. როგორც ქ. სტალინირში, ისე რაიონებში ხშირად ეწყობა შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში. თავისი ოსტატობით გამოირჩევიან მოჭიდავეები ს. გაბარაევი, ნ. ბაბუციძე, ხ. თედეევი, ნ. ტურაშვილი და სხვ.

იზრდება ახალგაზრდობის ლტოლვა კრივის დაუფლებისადმი. მაყურებლებში დიდ ინტერესს იწვევს ოლქის სახელმოხვეჭილი მოკრივეების ბათრაძ სანაკოევის, რუსლან კოჩიევის, ანატოლ ლევაშოვის, ოთარ ვალიევის შეხვედრები.

შეგვეძლო კიდევ დაგვესახელებინა კალათბურთში, სიმძიმეების აწევაში, ზუსტად სროლაში და სპორტის სხვა სახეებში დაწინაურებული ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ყველა მონაცემი შემდგომ აიმაღლონ ოსტატობა.

კოლმეურნეობებში ახალგაზრდები ინიციატივას იჩენენ სასპორტო მუშაობის განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ლენინგორის რაიონის ყანჩაეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდები. მათ მოაწყეს სასპორტო მოედანი, შეიძინეს სავარჯიშო იარაღები. კოლმეურნეობაში შექმნილია 5 სასპორტო სექცია, რომლებშიც გაერთიანდა 50-ზე მეტი ახალგაზრდა. უკანასკნელ ხანებში სასპორტო მოედნები მოაწყეს და გააძლიერეს ფიზკულტურული მუშაობა აგრეთვე ლენინგორის რაიონის ახმაჯის, ბოლის, იკოთისა და სხვა სოფლების ახალგაზრდებმა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ცალკეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტსმენების წარმატებით. ჩვენში ცოტა როდია ისეთი ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც დღემდე ფორმალურად არსებობენ. სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს სპორტის ისეთი თვალსაჩინო სახის განვითარების საქმეში, როგორიცაა ჭადრაკი, ფეხბურთი.

ჩვენი ვალია მომავალში გადამჭრელი ზომები მივიღოთ ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის უფრო საინტერესოდ და ნაყოფიერად მოწყობისათვის.

დ. ალბოროვი
მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

★

ვიბრძოლებთ ახალი წარმატებებისათვის

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი საყვარელი სახეა. ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახის განვითარებაში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული. დღითიდღე იზრდება ფეხბურთის გუნდების რაოდე-

ნობა, იზრდება და უმჯობესდება ამ გუნდების თამაშის კლასი. თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ერთ-ერთი მძლავრი კოლექტივია საბჭოთა კავშირში. უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. იაკუშინის ხელმძღვანელობით გუნდმა წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით პირველ წრეში, კარგი შედეგები მოიპოვა. ფეხბურთის თამაშის მაღალ კლასს გვიჩვენებენ ა. ღოღობერიძე, ვ. მარღანია, ნ. ძიაფშიფა, გ. ანთაძე, ი. სარჯველაძე, ვ. ელოშვილი და სხვ.

ჩვენს გუნდს აქვს ნაკლოვანებანიც. ზოგიერთი შეჯიბრება მან დაბალ დონეზე ჩაატარა, თავდამსხმელები ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ იყენებდნენ მოწინააღმდეგის კართან შექმნილ ხელსაყრელ მომენტებს. გადამწყვეტი, ზუსტი დარტყმები მოწინააღმდეგის კარში—აი რა აკლია ჩვენი გუნდის თავდამსხმელებს. ჩვენ ვიბრძვით ამ ნაკლის გამოსწორებისათვის.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წინაშე დიდი ამოცანაა დასახული; მას ახლო მომავალში ჩასატარებელი აქვს მეტად პასუხსაგები მატჩები.

ეჭვს გარეშეა, დინამოელები შეძლებენ რესპუბლიკის სპორტული ღირსების სასახელოდ დაცვას და საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ.

ბ. პაიჭაძე
თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ქართველ კალათბურთელთა გამარჯვება

ქართველმა კალათბურთელებმა წელს მესამეჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის თასი.

საბჭოთა კავშირის თასისათვის ბრძოლა მეტად საყურადღებო მომენტებით ხასიათდებოდა. თბილისე-

ლებს აკლდათ სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია, მოსკოველთა გუნდში (ვვს) კი თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მოთამაშეები, ამხ. კონეევი და მოისეევი. მიუხედავად ამისა, ეს საინტერესო შეჯიბრება თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეების ვ. ქლენტის, ლ. არღანაშვილის და გ. ბახტურიძის შესანიშნავი თამაში. ისინი წელს პირველად იღებდნენ მონაწილეობას ასეთ პასუხსაგებ შეჯიბრებაში. ენერგიული თამაშით გამოირჩეოდა სპორტის ოსტატი ლ. ინწკირველი. გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს, სპორტის ოსტატს ამხ. გ. ბვალიშვილს.

ამ გამარჯვებით ჩვენ არ დავკმაყოფილდებით. წინ მეტად პასუხსაგები შეხვედრებია საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში.

გუნდის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

ნ. ჯორჯიკია
სპორტის ოსტატი

ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

დღეს საბჭოთა ხალხი, მისი სახელოვანი ახალგაზრდობა ზეიმით აღნიშნავს ტრადიციულ დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ საყოველთაო დღესასწაულს ხვდებიან დიდი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში, მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ფართოდ შეიჭრა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი გადაიქცა საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდის მძლავრ საშუალებად.

ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მაღალ კომუნისტურ იდეურობაზე, დიდად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მამაც დამცველთა, კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრდას.

ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახეს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და ამის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის წამყვან სახეებში.

საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, მშვიდობისათვის ბრძოლის მედროშის დიდი სტალინის მზრუნველობით გარემოცული სპორტსმენები ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში დღითიდღე ახალ წარმატებებს აღწევენ.

საბჭოთა სპორტის საერთო მიღწევებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს. ჩვენი რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტსმენები ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ახალი წარმატებებით ეგებებიან.

ამჟამად საქართველოში გვაქვს 6.000-მდე ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც თავიანთ რიგებში 400.000-მდე სპორტსმენს აერთიანებენ. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის პროფკავშირთა ნებაყოფლობით 19 სასპორტო საზოგადოებაში, სასპორტო საზოგადოება „დინამოში“, აგრეთვე „სპარტაკსა“ და „შრომითი რეზერვებში“.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზიკურ აღზრდას სკოლებში. გარდა აკადემიური საათებისა, აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფიზკულტურულ მუშაობას სპორტულ სექციებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კვალიფიციური პედაგოგები, გამოცდილი მწვრთნელები. რესპუბლიკაში ამჟამად ითვლება 1.975 სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც თავის რიგებში 157.000-მდე მოსწავლეს აერთიანებენ. 10.000-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს 52 სასპორტო სკოლაში, რათა დაეუფლოს სპორტის სხვადასხვა სახეს და გახდეს თანრიგოსანი სპორტსმენი.

ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების, მისი მასობრივობისა და სპორტული დონის ამაღლებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტ სპორტსმენებს უმაღლეს სასწავლებელთა კლუბებში შეუძლიათ ღრმად დაეუფლონ მათთვის საინტერესო სპორტის ამა თუ იმ სახეს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ფართოდ გავრცელდა საწარმოებში, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო სოფელში. სპორტის კლასიკურ სახეებთან ერთად ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ეროვნული სახეები — მარულა, ისინდი, ცხენბურთი, ლელო და სხვ.

ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში აღზრდილმა მრავალმა ქართველმა სპორტსმენმა სახელი გაითქვა საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში. მათგან შეიძლება დავასახელოთ საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ქ. კობერიძე, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეკოკიშვილი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება აქვთ მოპოვებული აგრეთვე შ. დაუშვილს, ქ. ნინიაშვილს, ე. ქარქუსაშვილს, გ. როსტიაშვილს. მათ პირველი წრთობა მიიღეს საკოლმეურნეო ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები ამჟამად შექმნილია 1.973 კოლმეურნეობაში და აერთიანებენ 100.000 კოლმეურნე ფიზკულტურელს — ნებაყოფლობით სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ წევრებს.

მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მოწინავეთა რიგებში დგანან აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, ფოთისა და თელავის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

ჩვენში ფიზიკური აღზრდის ძირითად საფუძვლად აღიარებულია კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. გასულ სასპორტო სეზონში „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“, აგრეთვე „მზად ვარ შრომისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის“ პირველი და მეორე საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების წლიური დავალება ვადამდე და გადაჭარბებით იქნა შესრულებული. „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადების წლიური დავალება შესრულდა 123,4 პროცენტით, „მშთ“ პირველი საფეხურის ნიშნოსანთა მომზადებისა—101,5 პროცენტით, მეორე საფეხურის ნიშნოსანთა მომზადებისა—103,8 პროცენტით.

საქართველოს ფიზკულტურელთა რიგებს ამშვენებს მრავალი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, რომელთა მიღწევები ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია სპორტის დამსახურებული ოსტატი ნინო დუმბაძე, რომელმაც ბადროს ტყორცნაში დიდი ხნის დაამყარა მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა სპორტსმენებს მოპოვებული მიღწევებით დაკმაყოფილება როდი სჩვევიათ, ისინი დაუღალავი შრომით ახალ წარმატებებს აღწევენ. 27 მაისს დიდი სტალინის სამშობლოში — ქ. გორში ნ. დუმბაძემ ბადრო ტყორცნა 53 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. საბჭოთა საქართველოს უძლიერესი მძლეოსნები მაღალი სპორტული მაჩვენებლებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სტადიონებზე, ევროპის სპორტულ მოედნებზე. მათ ეკუთვნით ჩვენი ქვეყნის 14 რეკორდი. პროფესიით ინჟინერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ელენე გოკიელი საბჭოთა კავშირის რეკორდსმენია თარჯრბენში 80 მეტრზე (დრო—11,3 წამი). სპორტის ოსტატი ლევან სანაძე საბჭოთა კავშირის უძლიერეს სპრინტერად ითვლება მოკლე მანძილზე რბენაში.

1951 წლის მძლეოსნური სეზონი მაღალი სპორტული შედეგებით ხასიათდება. გასულ ექვს თვეში საქართველოს მძლეოსნებმა დაამყარეს ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდები. წარმატებით ჩატარდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

ახლახან დამთავრებულმა მოსწავლეთა მეოთხე რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ ცხადყო, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში წლითიწლობით იზრდება ინტერესი მძლეოსნური სპორტისადმი. ამ შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა რესპუბლიკის 4 ახალი რეკორდი.

ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს ქართველ კალათბურთელთა მაღალი სპორტული შედეგებით, შესანიშნავი ოსტატობით, გამარჯვებისათვის შეუდრეკელი ბრძოლით.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ძალოსნობაში, ჭიდაობის სხვადასხვა სახეებში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონად და მსოფლიო რეკორდსმენად ძალოსნობაში ითვლება თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტი რ. ჩიმიშკიანი. საქართველოს უძლიერეს შტანგისტთა რიგებში არიან— სვეტილკო, კასიანიკი, ულენტი, ხანუკაშვილი და სხვები. საბჭოთა კავშირის 1951 წლის პირადი პირველობის გათამაშებაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის შტანგისტებმა ჩიმიშკიანმა და სვეტილკომ. მათ დაიმსახურეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

განვლილი 6 თვე აღინიშნა საქართველოს მოჭიდავეთა ახალი გამარჯვებით. თბილისში მოწყობილ საკავშირო ჩემპიონატში კვლავ ისახელა თავი დ. ციმაკურიძემ, რომელმაც თავისუფალ ჭიდაობაში საშუალო წონის მოჭიდავეთა შორის მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა აგრეთვე ქარქუსაშვილმა. „სამბოში“ ოთხი ქალაქის ტრადიციულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელმა მოჭიდავეებმა და მოიპოვეს გარდამავალი ჯილდო—თასი.

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეა. ჩვენ გვყავს ფეხბურთის შესანიშნავი ოსტატები. ბორის პაიჭაძის, ღოღობერიძის, სარჯველაძის, ანთაძის, მარღანიას, ძიაფშიფას, ჯოჯუასა და სხვათა თამაში საერთო მოწონებას იმსახურებდა და იმსახურებს.

შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე წარმატებით გამოდის თბილისელ აკრობატთა ოთხეული მ. ქელეხსაშვილის, გ. გარსევანიშვილის, ი. მახაშვილისა და ვ. ჩესნოკის შემადგენლობით. ისინი ხუთგზის იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. ამ ოთხეულმა გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე მიმდინარე სპორტულ სეზონში.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას წარმატებით იცავენ საქართველოს ფრენბურთელები, ჩოგბურთელები.

საქართველოში დიდი სიყვარულით ეტანებიან სპორტის ერთ-ერთ საინტერესო და მიმზიდველ სახეს — ალპინიზმს.

ქართველმა ალპინისტებმა 1950 წელს საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ისტორიაში ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. ი. მარმა, ბ. ხერგიანმა, გ. ზურებიანმა, ჟ. ჩართოლანმა და მ. გვარლიანმა მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში წარმატებით დაამთავრეს უშბა-შხელდის ტრავერსი, რაც სარეკორდო მიღწევად ითვლება.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობასთან ერთად რესპუბლიკაში განუწყვეტლივ იზრდება სპორტის ოსტატთა და სპორტის დამსახურებულ ოსტატთა რიგები. დღეისათვის საქართველოში ითვლება 56 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 156 სპორტის ოსტატი. გვყავს საკავშირო კატეგორიის მსაჯი 50 და რესპუბლიკური კატეგორიისა—196.

საქართველოს სპორტსმენებს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. მათ განკარგულებაშია საუკეთესო სტადიონები, სასპორტო დარბაზები, კორტები, წყალჯომარდობის აუზები.

ასეთია საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტსმენთა მიღწევები ფიზკულტურელის საკავშირო დღისათვის. ამ მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება, მთელ რიგ სექციებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, დაბალია სპორტული მაჩვენებლები კრივში, ტანვარჯიშში.

საქართველოს ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთესად წარმართვისათვის.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები უპასუხებენ თავდადებული შრომით, უფრო მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებით.

ა. ფარულავა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

დავაჩქაროთ მკა, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება!

სალეწი მანქანების მუშაობა ფერხდება

მოსავლის აღების დაწყებისთანავე ქარელის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა. სოფელ სანებლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჭიანურდება პურეულის ლეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ამ კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა, მართალია, დროულად მიიტანეს, მაგრამ ელექტრომოწყობილობის უქონლობის გამო იგი 5 დღეა უქმად დგას. მოწყობილობის დასადგმელად კოლმეურნეობამ დროულად ჩაურიცხა სათანადო თანხა „საქსოფელელექტროს" გორის სარაიონთაშორისო განყოფილებას (მმართველი ამხ. მაღლაფერიძე), მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა, დაპირება დაპირებად დარჩა.

ქეხვჯერის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში სალეწი მანქანა ელექტროძრავით მუშაობს. ძამვესის დირექტორი ამხ. პ. მეძმარიაშვილი გამუდმებით რატომღაც უთიშავს დენს სალეწ მანქანას და ამით ღამით მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

სოფელ ლეთეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. მარღიშვილი) ყურადღება არ ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. გამოყენებული არ არიან მოზარდები. აქ თვითეულ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ დატოვებულია 6-9 თავთავი. ასეთ ყანაში შეშვებულია კოლმეურნეობის ფერმის პირუტყვი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც არადეთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ს. ძმორაშვილი).

რუისის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე ნ. შუბითიძე) „ზაგოტზერნოს" ქარელის მიმღებ პუნქტში მიტანილი ხორბალი დაბალი ხარისხის აღმოჩნდა.

რუისის მტს-ში კომბაინები ხშირად ცდება. გ. უმეკაშვილის კომბაინს ცუდი რემონტის გამო რუისის კოლმეურნეობის ყანაში 6 დღის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია.

საჭიროა ეს ნაკლოვანებანი სწრაფად გამოსწორდეს. უკეთესად მოვაწყოთ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

შრომა კარგად მოაწყეს

ასპინძელმა კოლმეურნეებმა დაბალ ზონაში გააჩაღეს პურის მკა. მოსავალს კარგი პირი უჩანს. მინდვრად პირველნი გავიდნენ სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის, იდუმალას ბერიას სახელობისა და ასპინძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები.

15 ივლისს სოფელ რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში პირველად გავიდა „სტალინეც-6", რომელსაც გამოცდილი კომბაინერი პ. ლეკიშვილი მართავს.

აღებულია პირველი ათეული ჰექტარები. ერთ დღეს მთაგორიანი ადგილმდებარეობის პირობებში აქ კომბაინით აღებულ იქნა 10 ჰექტარი პური. რუსთავის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა ჰექტარზე საშუალოდ 18-19 ცენტნერ ხორბალს იღებს.

კოლმეურნეობამ კარგად მოაწყო შრომა, დანაკარგებთან ბრძოლა. თავთავების მკრეფავებმა ვ. წიკლაურმა, ტ. ბერიძემ, ი. წიკლაურმა, მ. მელიქიძემ, გ. სანდოსოვმა მარტო ერთ დღეს 15-15 კილოგრამი თავთავი აკრიფეს.

ასპინძელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან ათ დღეში დაამთავრონ მოსავლის აღება დაბალ ზონაში და პირველი განალეწი მაღალხარისხოვანი პური ჩააბარონ სახელმწიფოს.

17 ივლისს ახალციხის „ზაგოტზერნოს" საწყობებისაკენ გაემართა პურით დატვირთული ავტომანქანების პირველი კოლონა.

მ. სირაძე
„კომუნისტის" კორესპონდენტი

კახური დაფოფვილი ხორბლის პირველი მოსავალი

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სოფელ ჭალატორის აკ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. ზაბახიძე) მოსავლის აღებას პირველად „ოდაბუნის" ველზე შეუდგა. აქ წელს პირველად ამუშავდნენ საჩხერის მტს-ის კომბაინები. კოლმეურნეობას ორ ჰექტარზე საცდელად ეთესა კახური დაფოფვილი ხორბალი. საუკეთესო მოვლა-პატრონობის შედეგად ჰექტარზე ნაცვლად 15 ცენტნერისა 20,5 ცენტნერი ხორბალი აიღეს. სხვიტორელი კოლმეურნეები ადგილობრივი ჯიშის ხორბლიდანაც თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 15-16 ცენტნერ ხორბალს იღებენ, გეგმით კი 12 ცენტნერია ნავარაუდევი. განსაკუთრებით კარგი მოსავალი მოჰყავთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც გ. გოშაძე, ვ. ზაბახიძე, ა. გურული, ს. ზაბახიძე და დ. ყიფიანი ხელმძღვანელობენ.

პურეულის მოსავლის აღება სწრაფად და უდანაკარგოდ მიმდინარეობს სოფელ ჩიხის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ჭილაძე). 150 ჰექტარი პურეულიდან 80 ჰექტარზე მეტი კომბაინით იქნება აღებული. აქ წელს პირველად მიიღეს დაფოფვილი ხორბლის მოსავალი. ო. ნოზაძის ბრიგადამ ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 27,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

მოსავალს ორგანიზებულად იღებენ გრიგოლ და ვლადიმერ ჭილაძეების ბრიგადები. ამ ბრიგადებმა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების შედეგად პურის უხვი მოსავალი მიიღეს.

პ. ასანიძე
„კომუნისტის" კორესპონდენტი

ქართველი მეტალურგები საწარმოო პრაქტიკაზე

რუსთავიდან ქალაქ ჟდანოვის მეტალურგიულ ქარხანაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიავლინეს ახალგაზრდა მეტალურგთა ჯგუფი, რომელშიც შედიან მგლინავები, ოპერატორები, შემდუღებლები. უკრაინელმა კოლეგებმა დიდი ხალისით მიიღეს ქართველი თანამოძმეები და მათ სწავლისა და შრომის შესანიშნავი პირობები შეუქმნეს.

ქართველი მეტალურგები სპეციალობათა მიხედვით გაანაწილეს საამქროში და ცოდნის გასაღრმავებლად ძველი, გამოცდილი ოსტატები მიუჩინეს. უკრაინელი მეტალურგები დაუზარებლად უზიარებენ ქართველ მეტალურგებს თავიანთ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია რელსის კოჭის საგლინავი საამქროს უფროსი ოსტატი ბოლდირევი, უფროსი მგლინავი დრემბაჩი და უფროსი ოპერატორი კისელიოვი, რომლებიც მარტივად და ნათლად გადასცემენ რუსთაველ მგლინავ-მეტალურგებს თავიანთ ცოდნას. მათი დახმარების შედეგად მრავალი ქართველი ახალგაზრდა უკვე დამოუკიდებლად ასრულებს მილების გაგლინვის საწარმოო ოპერაციებს. დამოუკიდებლად დაიწყეს მუშაობა მგლინავებმა მეტრეველმა, ქევხიშვილმა, დათუკიშვილმა, ოპერატორებმა კოკაიამ, გიგნაძემ, ხმალაძემ, მილშემდუღებლებმა ბურდილაძემ, სოზიაშვილმა და სხვებმა.

კიდევ რამდენიმე ხანი, და ქართველი მგლინავები საწარმოო პრაქტიკიდან მშობლიურ რუსთავს დაუბრუნდებიან.

რ. რიჟამაძე
უფროსი მგლინავი

ახალი საექიმო პუნქტები

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ წაღვლისა და ლუდის სასოფლო საბჭოს ცენტრში დაამთავრა ახალი საექიმო პუნქტების მშენებლობა და კეთილმოწყობა, რაზედაც 48.000 მანეთი დაიხარჯა.

საექიმო პუნქტები უზრუნველყოფილია შესაფერი სამედიცინო კადრებით.

ჩვენ გვწერენ

თეატრი საწყობადაა გამოყენებული

წყალტუბოში ახალი სასტუმროს მშენებლობის დაწყების პირველი დღეებიდანვე კურორტის ერთადერთი თეატრი ინვენტარის საწყობად გადააქციეს. ეს არც მაშინ იყო მიზანშეწონილი, როცა კურორტსამმართველოს დირექციამ თითქოს სხვა ბინა ვერ გამონახა და სასტუმროსათვის განკუთვნილი ახალი ინვენტარი თეატრის შენობაში მოათავსა.

ახლა, როცა ახალი სასტუმრო ექსპლოატაციაშია, მდგომარეობა კვლავ უცვლელია. საინტერესოა, რა უშლის ხელს დარბაზის განთავისუფლებას?

თეატრის შენობის არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო დამსვენებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

გ. მახვილაძე

ს ა ბ ჭ ო თ ა   მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობის გამოცდილებიდან

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი რაიონის პარტიული ორგანიზაციის დახმარებით უნარიანად მუშაობს მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

აქ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიებს იწვევენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ორ თვეში ერთხელ. საკითხები, რომლებიც სესიამ უნდა განიხილოს, წინასწარ შეაქვთ აღმასკომის სამუშაო გეგმაში. სესიის დღის წესრიგს მის მოწვევამდე 10-15 დღით ადრე განსაზღვრავს აღმასკომი. ამრიგად, დეპუტატებმა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებმა, რაიონულმა აქტივმა წინასწარ იციან, რა საკითხები შეაქვს აღმასკომს სესიის განსახილველად.

მიმდინარე წლის 28 ივნისს რაისაბჭოს სესიამ განიხილა მოსავლის აღებისა და მარცვლეულის დამზადების მიმდინარეობის საკითხი. წინასწარ აღმასკომისა და საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მუდმივი კომისიის წევრებმა კოლმეურნეობებში შეისწავლეს ეს საკითხი, შემდეგ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრები და წინადადებანი, განიხილეს დასკვნები.

სესიაზე მოხსენება გააკეთა რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ დეპუტატმა ი. ინდაშვილმა, ხოლო თანამოხსენება — რაისაბჭოს სასოფლო-სამეურნეო მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. შავგულიძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო ათმა ამხანაგმა. მათ მკაცრად გააკრიტიკეს მოსავლის აღებისა და მარცვლეულის დამზადების საქმეში ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, განსაკუთრებით კი სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. მოკამათეებმა მრავალი წინადადება წამოაყენეს. რაისაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განუხრელად ხორციელდება. ამის შედეგად მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ტემპი გაძლიერდა.

შარშან და წელს რაისაბჭოს სესიამ 17 საკითხი განიხილა. ესენია: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასკოლო მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და დისციპლინის განმტკიცების, მეცხოველეობის განვითარებისა და სხვა საკითხები.

დიდ როლს ასრულებენ რაისაბჭოს მუდმივი კომისიები. გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოსთან შექმნილია 7 მუდმივი კომისია: საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობის, კეთილმოწყობისა და ტყის გაშენების, ვაჭრობისა. კარგად მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ა. ქუმსიაშვილი). წელს კომისიას სამჯერ ჰქონდა სხდომა. 29 ივნისს კომისიამ განიხილა ჩვილ ბავშვთა სახლში სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარული მდგომარეობის საკითხი. საკითხი კომისიამ წინასწარ შეამოწმა, გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი და საჭიროდ ცნო მისი გატანა აღმასკომის განსახილველად. ასევე კარგად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო, საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები.

რაისაბჭოს აღმასკომის სამუშაო გეგმას ყოველკვარტალურად ადგენენ, მის შედგენაში აქტიურად მონაწილეობენ აღმასკომის წევრები, განყოფილებათა გამგეები. აღმასკომის სხდომები ეწყობა თვეში სამჯერ ერთსა და იმავე რიცხვებში: 11, 21 და 30-ში. აღმასკომის სხდომაზე განსახილველ საკითხებს 5 დღით ადრე ამზადებენ. დღის წესრიგი წერილობით ეცნობებათ აღმასკომის წევრებს.

1950 წელს მოეწყო სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარი. სემინარზე განხილულ იქნა საკოლმეურნეო მშენებლობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკა, სასოფლო საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების მომზადების და სხვა საკითხები. გარდა ამისა, ხშირად ეწყობა სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები. ასეთი თათბირები წელს და შარშან 6-ჯერ ჩატარდა. მიმდინარე წლის 29 მაისს მოეწყო მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, სადაც განიხილეს საკითხი, თუ როგორ უნდა შედგეს ამ კომისიების სამუშაო გეგმა.

რაიაღმასკომის სხდომები მომზადებულად ეწყობა. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ჩიგილაშვილი და აღმასკომის მდივანი ამხ. მ. ბასილაშვილი პირადად ამოწმებენ მომხსენებლის მზადყოფნას. აღმასკომის დღის წესრიგი გადატვირთული არ არის საკითხებით; სხდომაზე იხილავენ ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ამით განყოფილებათა გამგეებს საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ოპერატიული საკითხები და მაღლდება მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის.

აღმასკომის სხდომაზე ხშირად ისმენენ განყოფილებათა გამგეების მოხსენებას განყოფილებათა მუშაობის შესახებ. წელს მოისმინეს საფინანსო განყოფილების გამგის მოხსენება. ისმენენ აგრეთვე სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მუშაობის ანგარიშს. მაგალითად, წელს მოსმენილ იქნა ჩუმლაყის, ვაზისუბნის, შაშიანის და გურჯაანის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა საანგარიშო მოხსენებანი. აპრილში აღმასკომმა შეამოწმა სოფელ ბაკურციხის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის მუშაობა და მოისმინა მისი თავმჯდომარის მოხსენება.

რაიაღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. გადაწყვეტილებათა შესრულებას ადგილებზე ამოწმებენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგალითად, 1951 წლის 21 აპრილს რაიაღმასკომმა განიხილა ბაკურციხე-ჩალაუბნის ხევის გზის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. ერთი თვის შემდეგ მოსმენილ იქნა, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილება. ეს საკითხი შეამოწმეს საგზაო განყოფილების გამგემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ. ასეთი ყურადღების შედეგად გზის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და შემოდგომაზე დამთავრდება.

ორგანიზაციული მუშაობის ამაღლებით და შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებით მოპოვებულია მნიშვნელოვანი მიღწევები. წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურები სულ ასაღები იყო 5.384 ჰექტარი, უკვე აღებულია 4.279 ჰექტარი. მოსავლის აღება ამ რამდენიმე დღეში მთლიანად დამთავრდება. ამასთან ერთად პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. წარმატებით მიმდინარეობს ვენახების დამუშავება. 2.299 ჰექტარი ვენახი მოხნულია 2-3-ჯერ, შეწამლულია 4-ჯერ, გოგირდი შეფრქვეულია 3-ჯერ; სიმინდის ნათესი, რაც 2.203 ჰექტარს შეადგენს, პირველად გათოხნილია მთლიანად, მეორედ — 1.929 ჰექტარზე, ხოლო მესამედ — 1.000 ჰექტარზე. რაიონის 41 კოლმეურნეობა ნებაყოფლობით გაერთიანდა 18 კოლმეურნეობად. ამან უფრო აამაღლა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, განამტკიცა შრომის დისციპლინა.

გურჯაანის რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია თელავისა და ზესტაფონის რაიონებთან. რაიაღმასკომი ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ პირნათლად შესრულდეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

რაიონულ საბჭოს და მის აღმასკომს აქვთ ნაკლოვანებანიც. რაისაბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. ჩამორჩენაა გურჯაანის სასოფლო საბჭოში (აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხანიაშვილი), რომელიც ვერ ასრულებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს. ეს იმითაც აიხსნება, რომ რაიაღმასკომი სუსტად ეხმარება ამ სასოფლო საბჭოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმასკომი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ვაჭრობის საკითხებს, რის შედეგად რაიკოოპკავშირმა ვერ შეასრულა საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი ამაღლებით, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი მოიპოვებს ახალ წარმატებებს. ამის თავდებია ის მდიდარი გამოცდილება, რაც მას აქვს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დავალებათა შესრულების საქმეში.

ს. არღუნელი
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

დ ი ა დ   ს ა მ უ შ ა ო თ ა   ე პ ო ქ ა*

★
პ. დ. გლებოვი
★

თურქმენეთის სს რესპუბლიკას ტერიტორიის თითქმის ოთხმოცი პროცენტი უჭირავს ყარა-ყუმს — შუა აზიის ყველაზე დიდ და წყლით ყველაზე ღარიბ უდაბნოს. თურქმენი ხალხი საუკუნეობით ოცნებობდა წყალზე. „მდიდარი ის ხალხია, რომელსაც მიწა და წყალი აქვს", — ამბობს თურქმენული ხალხური ანდაზა. შუა აზიის რკინიგზის ბევრ სადგურზე თურქმენეთში წყალი ცისტერნებით მოაქვთ, კრასნოვოდსკსა და ჩელეკენის ქალაქებში წყალი მიაქვთ ბაქოდან, კასპიის ზღვის მეორე ნაპირიდან. ისეთი მდინარეების წყალი, როგორიცაა მურგაბი, ტეჯენი, ატრეკი და სხვები, თითქმის მთლიანად იხარჯება რწყვაზე; სარწყავად ფართოდ იყენებენ კოპეტ-დაგის ფერდობების გრუნტის წყლებს. სსრ კავშირში არსად არ გრძნობა წყლის ისეთი მწვავე ნაკლებობა, როგორც თურქმენეთში. ამავე დროს რესპუბლიკის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს ჩაუდის შუა აზიის ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარე ამუ-დარია, რომლის წყლის რესურსები მხოლოდ უმნიშვნელოდ არის გამოყენებული სარწყავად. ამუ-დარიიდან წყლის გამოყვანა გაძნელებულია თითქმის მთელ მის მანძილზე იმის გამო, რომ კალაპოტი მერყევია და ნაპირები ძლიერ ჩამორეცხილი. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ დროს იყო ამუ-დარიიდან ყარა-ყუმისათვის წყლის მიწოდების ბევრი პროექტი, მაგრამ ყველა ეს პროექტი ქაღალდზე რჩებოდა. რევოლუციისშემდგომ დროს ბევრი რამ გაკეთდა თურქმენეთში რწყვის განვითარებისათვის, მაგრამ ძირითადი საკითხი — წყალუხვი ამუ-დარიის გამოყენება — ჯერ კიდევ გადაუწყვეტი იყო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „თურქმენეთის მთავარი არხის — ამუ-დარია - კრასნოვოდსკის არხის მშენებლობის, დასავლეთ თურქმენეთის კასპიისპირა ვაკის, ამუ-დარიის ქვემოწელისა და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთი ნაწილის მიწების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის შესახებ", რაც მიღებულ იქნა ამხანაგ სტალინის ინიციატივით, ახორციელებს თურქმენი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას. ამუ-დარიის პრობლემის იმ გადაწყვეტას, რაც წამოყენებულია მთავრობის დადგენილებაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ამუ-დარიაზე ტახია-ტაშთან კაშხალისა და თურქმენეთის მთავარი არხის აგება შესაძლებლობას მოგვცემს მოვრწყოთ 1,3 მილიონი ჰექტარი მიწა, წყლით უზრუნველვყოთ 7 მილიონი ჰექტარი, გავაშენოთ ტყეები 0,5 მილიონ ჰექტარზე, აგრეთვე წყლით მოვამარაგოთ დასავლეთ თურქმენეთის მრეწველობა და ქალაქები, ავაშენოთ სამი ჰიდროელექტროსადგური, შევქმნათ სანაოსნო გზა ამუ-დარიიდან კრასნოვოდსკამდე. მაგრამ ესეც არ არის ყველაფერი: კაშხალის აგებით და მდინარიდან წამში 350-400, ხოლო მომავალში 600 კუბური მეტრის წყლის გადმოშვებით მნიშვნელოვნად გაადვილდება წყალდიდობასთან ბრძოლა ამუ-დარიის ქვემოწელში, სადაც დასაცავი ჯებირების სიგრძე ასობით კილომეტრს აღწევს; დაიწევს არალის ზღვის დონე და გრუნტის წყლების დონე, რაც დამატებით მოგვცემს 300 ათას ჰექტარ სარწყავ მიწას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სარიყამიშის ღრმულთან აშენდეს ჰიდროსადგური, რომლისთვისაც წყალი გამოყვანილი იქნება კუნია-დარიის კალაპოტით.

ტახია-ტაშის კაშხალიდან წყალი სარწყავად გადაყვანილ იქნება სამი არხით—მარჯვენა ნაპირის, მარცხენა ნაპირისა და თურქმენეთის მთავარი არხით; იმ რაიონებში, რომლებიც ამუ-დარიას ეკვრის,—მის დელტასა და ყარა-კალფაკეთში — მოირწყება შესაბამისად 300 და 500 ათასი ჰექტარი ახალი მიწები. თურქმენეთის მთავარი არხიდან წყალს მიიღებს დასავლეთ თურქმენეთის კასპიისპირის ვაკე 500 ათასი ჰექტარის მოსარწყავად. ყველა რაიონში წამყვანი კულტურა იქნება ბამბა, ხოლო დასავლეთ თურქმენეთში, გარდა ამისა, თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს სუბტროპიკული კულტურები.

თურქმენეთის მთავარი არხი პირველ ოთხას კილომეტრს გაივლის ხელოვნურ კალაპოტში, შემოუვლის სარიყამიშის ღრმულს, შემდეგ შეერთვის უზბოის, რომელზეც გაივლის 500 კილომეტრს, და კვლავ შევა 200 კილომეტრი სიგრძის ხელოვნურ კალაპოტში—თვით კრასნოვოდსკამდე. უზბოიზე გათვალისწინებულია ორი წყალსაცავი, რომელთა კაშხალებთან აშენდება ჰიდროელექტროსადგურები. პირველი წყალსაცავიდან გაყვანილ იქნება არხი კასპიისპირის ვაკის მიწების მოსარწყავად, ხოლო მეორიდან — ბალხანისპირის მიწების მოსარწყავად.

თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში გათვალისწინებულია ყარა-ყუმში შვიდი მილიონი ჰექტარი საძოვრებისა და სათიბების წყლით უზრუნველყოფა. არხების გაყვანის გარდა აქ ღრმულებში შეიქმნება ბევრი წყალსატევი და გუბურა.

მარტო დიდი გადასაშვები სარწყავი და წყლით უზრუნველსაყოფი არხების საერთო სიგრძე 1.200 კილომეტრს აღემატება, უფრო ნაკლები ზომის არხების სიგრძე კი რამდენიმე ათეულ ათას კილომეტრს მიაღწევს.

თურქმენეთის მთავარი არხიდან წყალს მიიღებენ ქარხნები, ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ამისათვის საჭირო იქნება ათას კილომეტრ მილსადენთა გაყვანა.

ხუთას ათას ჰექტარზე გაშენდება ტყე მარტო თურქმენეთის მთავარი არხისა და მისი ტოტების გაყოლებით და წყლით უზრუნველსაყოფი და მოსარწყავი მიწების საზღვრებზე.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობით უბრწყინვალესი ფურცელი ჩაიწერება ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმაში — იგი აყვავებულ ოაზისად გადააქცევს უდაბნო მიწების უდიდეს მასივს. იქმნება მებამბეობის ახალი, ფერგანაზე უფრო მნიშვნელოვანი რაიონი. თურქმენეთის სარწყავი მიწების ფართობი ერთიორად და უფრო მეტად გადიდდება, ხოლო ყარა-კალფაკეთში — სამჯერ უფრო მეტად არსებულთან შედარებით. წყლით უზრუნველყოფა ძირფესვიანად შეცვლის მესაქონლეობის განვითარების პირობებს; პირუტყვის სულადობა მრავალ მილიონს მიაღწევს. განმარტოებული იშვიათი ჭების ნაცვლად გაჩნდება მრავალი არხი და წყალსატევი, იურტების ნაცვლად — მწვანეში ჩაფლული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბები. შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი ათობით ქარხანა. ტყის გაშენება თურქმენეთს არა მარტო საშენ ხე-ტყეს მისცემს, არამედ აგრეთვე ბევრჯერ გაადიდებს აბრეშუმის წარმოებისათვის ნედლეულის მიღებას. აყვავებული სუბტროპიკული ბაღები მოგვცემენ ლიმონს, ფორთოხალს, ხურმას, ზეთისხილს, ბროწეულს და სხვ.

თურქმენეთი მდიდარია სასარგებლო მთამადნეულით, რომლის დამუშავება ხშირად გაძნელებულია წყლის უქონლობით. ახლა რესპუბლიკის სამთო მრეწველობა კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება.

• • •

თავისთავად ცხადია, რომ სარწყავი მიწების ფართობის კოლოსალური რაოდენობრივი ზრდა აყენებს სარწყავი სისტემების ხარისხის, ძვირფასი ტენის გამოყენების ახალი, უფრო ეფექტიანი და ეკონომიური წესების საკითხს. ამ მიმართულებით გამალებით მუშაობს საბჭოთა მელიორატორებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მოწინავეთა აზრი. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც წარმოშვა დიად სარწყავ სისტემათა ჩვენმა ეპოქამ, — არხებში ფილტრაციისაგან წყლის დაკარგვასთან ბრძოლა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის წესები, რომელთა საშუალებითაც წყალი მიყვანილ უნდა იქნას მისი მოხმარების ადგილას. სხვა პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების დროს შექმნილი ძველი სისტემები შეიცავენ წინააღმდეგობებს სამანქანო ტექნიკით შეიარაღებული სოციალისტური მიწათმოქმედების მოთხოვნებისადმი.

ეს განსაკუთრებით თვალნათლივ იჩენს თავს ძველი სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. აქ რწყვა წარმოებდა ძველ დროში მოწყობილი არასაინჟინრო სისტემებიდან. მთელი ეს მიწები ზღუდეებით და სარწყავი არხებით დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა, ხშირად არასწორი ფორმის ნაკვეთებად.

ამ პირობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია ეფექტიანი ვერ იყო და ზოგჯერ სულაც არ ხერხდებოდა. ამიტომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაწყებასთან ერთად დაიწყო სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქცია. ამან გააადვილა სამუშაოთა მექანიზაცია, შესაძლებელი გახადა რწყვის ტექნიკის გაუმჯობესება, სარწყავი წყლის ხარჯვის შემცირება, შრომის ნაყოფიერებისა და მოსავლის გადიდება. მაგრამ მინდვრები ბევრ შემთხვევაში მაინც საკმაოდ მოსადგომი ვერ იყო მანქანებისა და იარაღებისათვის, ზოგიერთი სამუშაოს მექანიზაცია ამ პირობებში საერთოდ არ ხერხდებოდა, არხების გასაყვანად ბევრი მიწა უნაყოფოდ იკარგებოდა.

სარწყავ სისტემათა ქსელის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ზომისა და სახელწოდების მრავალი არხი. ქსელის უკანასკნელ რგოლს წარმოადგენენ მცირე სარწყავი არხები, რომლებიც წყალს მინდვრის თარგლებში ანაწილებენ და სარწყავ კვლებს გადასცემენ. ეს არხები ყველაზე მრავალრიცხოვანია, ისინი უშუალოდ მინდვრებზე გადიან და ხელს უშლიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციას. მოწინავე მებამბეებმა და სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა დიდიხანია შეიგნეს არსებულ სისტემათა ნაკლოვანებანი და ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე შეუდგნენ რწყვას დროებითი სარწყავი არხებით, რომლებიც ისევე როგორც კვლები, მორწყვის წინ გაჰყავდათ, ხოლო როცა საჭირო აღარ იყო, მათ ამოავსებდნენ. ეს სამუშაოები კიდევ უფრო ინტენსიურად გაჩაღდა ომისშემდგომ დროს და მიყვანილ იქნა ისეთ მდგომარეობამდე, რომ ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნას თითქმის ყველა კულტურის რწყვისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენების და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ", რაც 1950 წლის 18 აგვისტოს გამოქვეყნდა, მოცემულია წინადადება დროებითი სარწყავი არხებით რწყვაზე გადასვლა განხორციელდეს 1950-1953 წლების განმავლობაში.

რწყვის ახალი სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის მელიორაციის დარგის მუშაკთა დიდმა ჯგუფმა მიიღო სტალინური პრემიის ლაურეატთა საპატიო წოდება.

ახალი სისტემა ყველაზე სრულად განხორციელდება კომუნიზმის დიად მშენებლობათა სარწყავ ქსელებში, სადაც მისი განხორციელება სიძნელეებს არ წააწყდება.

დიდი პერსპექტივები იქმნება ნიადაგის დატენიანების ყველაზე სრულყოფილი წესისათვის — ხელოვნური წვიმისათვის.

ჯერ კიდევ 1875 წელს, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვენმა თანამემამულემ გ. ა. არისტოვმა წამოაყენა რწყვის ეს ახალი წესი, რომელიც მან აწერა „ზემლედელჩესკაია გაზეტას" მე-14 ნომერში, 1880 წელს. წყალს აუშვებენ ჰაერში, სადაც იგი წვრილ წვეთებად დაიფანტება და წვიმასავით ეპკურება მიწას. მაგრამ რევოლუციამდელ რუსეთში ხელოვნური წვიმის წესით რწყვა ვერ განვითარდა.

საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს მთელი რიგი ორიგინალური კონსტრუქციები საწვიმარი დანადგარებისა, რომლებსაც ამჟამად ფართოდ იყენებენ ბოსტნების სარწყავად. ეჭვს გარეშეა, რომ ხელოვნური წვიმა უაღრესად ფართოდ იქნება გამოყენებული ახალ სისტემებში, სადაც მისი გამოყენებისათვის ტრიად ხელსაყრელი პირობები იქმნება ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ელექტროფიკაციის განსაკუთრებით მაღალ დონესთან დაკავშირებით.

ამრიგად, კომუნიზმის დიად მშენებლობათა სარწყავი სისტემები ახალი იქნება არა მარტო განხორციელების

(დასასრული მე-4 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" №№ 169, 170.

გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომა

ჰელსინკი, 20 ივლისი. (საქდესი). დღეს ჰელსინკში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მორიგი სხდომა. მოხსენება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის საქმიანობისა და ამოცანების შესახებ გააკეთა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის გამოსვლა

ჰელსინკი, 20 ივლისი. (საქდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ. მომხსენებელმა მთავარი ყურადღება დაუთმო ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის ამჟამად მთელ მსოფლიოში გაჩაღებულ კამპანიას.

ეს კამპანია, თქვა ჟოლიო-კიურიმ, ნიშნავს ბრძოლას კაცობრიობის განთავისუფლებისათვის იმ კოშმარისაგან, რომელიც მას ამჟამად სულს უხუთავს. ცხადია, რომ ეს კამპანია, რომლის მნიშვნელობა ესოდენ დიდი და სერიოზულია, წარმატებით უნდა იქნას დამთავრებული. ამ დიადი მიზნის მიღწევა მოითხოვს მშვიდობის მომხრეთა მთელი ძალების დაძაბვას.

იმისათვის, რომ ძლევამოსილად დავამთავროთ ბრძოლა, რომელიც ჩვენ წილად გვხვდა, უნდა ცხადად გავითვალისწინოთ იმ მიმართვის მთელი მნიშვნელობა, რომელიც მას საფუძვლად უდევს. მშვიდობის მომხრენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ წარმატებას, თუ ისინი სწორი და საფუძვლიანი საბუთების საშუალებით მშვიდობის გზაზე დააყენებენ იმათ, ვინც დღემდე აცდენილი იყო ამ გზას, იმათ, ვის რიგებშიც მოწინააღმდეგე აჩერხებდა დაბნეულობის შეტანას. მე ვფიქრობ იმ მილიონობით ადამიანზე, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენთან არ არიან და რომელთა დაუხმარებლად ჩვენ არ შეგვიძლია საბოლოოდ და უთუოდ განვამტკიცოთ მშვიდობა.

ეს ბრძოლა არ ისახავს მიზნად, და ამას მოწმობს მიმართვის პირველი ფრაზა, დისკუსიის გამართვას იმაზე, თუ როგორ უნდა შეაფასონ ადამიანებმა მსოფლიო ომის საფრთხის წარმომშობი მიზეზები. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ნათლად დაინახონ, რომ, როგორიც უნდა იყოს მათი თვალსაზრისი ამ საკითხში, მიმართვა შეესაბამება მისწრაფებას, რათა მშვიდობიანი მოწესრიგების სულისკვეთებამ გაიმარჯვოს საკითხების ძალით, ომის გზით გადაჭრაზე.

ხაზგასმით აღნიშნა რა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ახლანდელი ბრძოლა მშვიდობისათვის მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კონკრეტულ მოთხოვნებთან გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ, ჟოლიო-კიურიმ განაგრძო:

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობა და გამალებულ შეიარაღებას იწვევს, მუდამ იწვევდა მშვიდობის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოლაპარაკების ჩაშლას. მას მუდამ ომი მოსდევდა.

ამიტომ მე ვფიქრობ, თქვა ჟოლიო-კიურიმ, საჭიროა სპეციალურად ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იმ მოლაპარაკების ფარგლებში, რომლის გამართვას მოვითხოვთ ხუთი დიდი სახელმწიფოსაგან მშვიდობის პაქტის დასადებად, ჩვენ უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება გამალებული შეიარაღების შეწყვეტას შეიარაღების შემცირების, ამ შემცირებაზე კონტროლის დაწესების გზით, ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენების აკრძალვის გზით. მშვიდობის მომხრეთა ვარშავის მსოფლიო კონგრესის რეზოლუცია, რომელიც შეეხება შეიარაღების შემცირებას, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაწესებას, ბრწყინვალე გამოხატულებაა ჩვენი მთავარი აზრისა და მე მიმაჩნია, რომ დადგა დრო ხაზგასმით აღვნიშნოთ ეს ჩვენი მიმართვის სასარგებლოდ გაჩაღებულ კამპანიასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით საჭირბოროტო საკითხია ხალხის ფართო მასებისათვის.

ჟოლიო-კიურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიისა და გერმანიის რემილიტარიზაციასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და რომ ამ პრობლემების სწორად გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას საერთაშორისო მდგომარეობის საყოველთაო მოწესრიგების ფარგლებში, რასაც ხელს შეუწყობდა მოლაპარაკება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის.

შეეხო რა ამჟამად კორეაში წარმოებულ მოლაპარაკებას, მომხსენებელმა განაცხადა:

ჩვენ კმაყოფილებით ვხედავთ, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების სულისკვეთება უკვე კონკრეტულად იჩენს თავს და არის იმედი, რომ შესაძლო გახდება დროებითი ზავის მიღწევა კორეის კონფლიქტში. გადაწყვეტილება მოლაპარაკების დაწყების შესახებ, უეჭველია, შედეგია ზემოქმედებისა ხალხების, მათ შორის ამერიკელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის მხრივ, რომლებიც ილაშქრებენ ამ სისხლისმღვრელი ომის წინააღმდეგ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა დიდ იმედს აძლევს მრავალ პატიოსან ადამიანს. ამ ადამიანებს არ უნდა გავუცრუვდეთ იმედი. ჩვენ უნდა განვუმტკიცოთ ეს იმედი. ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მიზნით დაიწყოს მოლაპარაკება ვიეტნამში ომის შეწყვეტის შესახებ; ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ჩვენი მიმართვის რეალიზაციისათვის და ამას მოჰყვება ის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების სულისკვეთება გაიმარჯვებს ძალადობის საშუალებით საკითხთა გადაჭრის დამღუპველ მისწრაფებაზე.

აღნიშნა რა შემდეგ ის სიძნელენი, რასაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია წააწყდა, როცა ცდილობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მოხვედრას, ჟოლიო-კიურიმ განაცხადა:

მე ვფიქრობ, რომ ჩასასვლელი ვიზების გაცემაზე უარის თქმა იმ ქვეყნის მთავრობის მხრივ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უფლებათა უაღრესად უხეში დარღვევაა. მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჰქონდა უფლება ეცნობებინა დელეგაციის წევრებისათვის, შეუძლიათ თუ არა მათ ჩასვლა. ამ ცნობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა მხოლოდ ვიზების გაცემაზე უარის თქმის ფორმა ან, რაც იგივეა, იმ წერილის ფორმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა რამდენიმე დღის წინათ გაუგზავნეს დელეგაციის წევრებს. ასეთი მოქმედება ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უკვე თვლის თავის ხელქვეით ორგანიზაციად.

მოხსენების დასასრულს ჟოლიო-კიურიმ სთხოვა ბიუროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია შემდეგს: საჭიროა მთელი ძალით, ხაზგასმით აღინიშნოს, თქვა მან, რომ გამალებული შეიარაღება და ყველა ის ღონისძიება, რომლებსაც უკვე ახორციელებენ ან რომელთა განხორციელება განზრახული აქვთ შეიარაღების მიზნით, როგორიცაა ატლანტიკის პაქტი და იაპონიისა და გერმანიის რემილიტარიზაცია, აუცილებლად უნდა შეწყდეს, რათა ჩვენი მიმართვის შესაბამისმა მშვიდობიანი მოლაპარაკების სულისკვეთებამ გაიმარჯვოს ძალადობის სულისკვეთებაზე. საჭიროა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, ჩვენი მოძრაობის ეფექტიანი გაფართოებისათვის.

ჟოლიო-კიურის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 ივლისი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 20 ივლისის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწევიან ყველა ფრონტზე და სერიოზულ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის დაახლოებით ორი ბატალიონი.

კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო

ფხენიანი, 20 ივლისი. (საქდესი). კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი სხდომა დღეს არ შემდგარა, რადგან ამერიკის მხარის წარმომადგენლები ცუდი ამინდის მომიზეზებით კესონში არ გამოცხადდნენ.

პეკინი, 20 ივლისი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

სინხუას სააგენტოს ფხენიანელი კორესპონდენტის მიერ კორეის ფრონტის შტაბიდან მიღებული ცნობებით, მე-8 სხდომა წარმომადგენლებისა, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ კორეაში დროებითი ზავის შესახებ, არ შედგა 20 ივლისს, როგორც დათქმული იყო, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციამ ვერ შეძლო კესონში ჩასვლა იმის გამო, რომ დილით მოსულმა წვიმამ გაუვალი გახადა გზები.

დღის მეორე ნახევარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციამ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციის თანხმობით მე-8 სხდომა გადაიტანა 21 ივლისის 9 საათსა და 00 წუთზე.

პაკისტანმა ელჩი დანიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 20 ივლისი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, პაკისტანის მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თანხმობით იმის შემდეგ, რაც წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და პაკისტანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, გენერალი ნავაბ-ზადე აღა მოჰამედ რაზა დანიშნა პაკისტანის ელჩად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

უფრო ადრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩად პაკისტანში დანიშნა ხან ნიან-ლუნი.

საფრანგეთის ოკუპაცია ამერიკელების მიერ

პარიზი, 20 ივლისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „სე მატენ-ლე პეი" წერს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე შატორუში (ენდრის დეპარტამენტი) იხსნება ამერიკელთა დიდი საავიაციო სახელოსნოები.

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე ამერიკის ავიაციის მიერ ორი აეროდრომის გამოყენებას ლა მარტინერსა და დეოლსში, შატორუს მახლობლად.

ამერიკელთა ოკუპაციის ეს რაიონები დაექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის გენერლის ჰიქსის ხელმძღვანელობას. უახლოეს დროში იქ ჩავა ავიაციის ამერიკელ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი.

ამერიკის შეერთებული შტატები ერევიან ირანის საშინაო საქმეებში

თეირანი, 20 ივლისი. (საქდესი). გაზეთ „დადის" ცნობიდან ჩანს, რომ ჰარიმანი კვლავ ერევა ირანის საქმეებში. გუშინ იგი თავის „ექსპერტებთან" ერთად დაესწრო ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის შესრულების მეთვალყურე შერეული კომისიის სხდომას.

იაპონიის კომპარტიის დროებითი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს განცხადება

შანხაი, 20 ივლისი. (საქდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, 19 ივლისს იაპონიის კომპარტიის დროებითმა ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ განცხადება გააკეთა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობის ნოტა იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ გვიჩვენებს ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და იაპონელი ხალხის დამოუკიდებლობისა და აყვავების უზრუნველყოფის ერთადერთ სწორ გზას. მთელ იაპონელ ხალხთან ერთად კომუნისტური პარტია სულითა და გულით უჭერს მხარს ამ ნოტაში გათვალისწინებულ პოლიტიკას იაპონიის საზავო ხელშეკრულების მიმართ. საბჭოთა მთავრობის ნოტა სავსებით შეესაბამება იმას, რისთვისაც გამოდიოდა და იბრძოდა იაპონიის კომპარტია ამ წლების განმავლობაში, შეესაბამება იაპონელი ხალხის მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ინტერესებისათვის ბრძოლას. იგი ნათლად გვიჩვენებს, რომ სსრ კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობის ყველაზე გულწრფელი მომხრეა და ყველაზე ერთგული მეგობარია იაპონელი ხალხისა, რომელიც გმინავს იმპერიალისტების უღელქვეშ. სსრ კავშირს მიაჩნია, რომ ომი გარდუვალი არ არის, და მოითხოვს დღევანდელი მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას არა შეიარაღებული ძალის საშუალებით, არამედ მოლაპარაკებით. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც იოსიდას კაბინეტი ისწრაფვის სეპარატული საზავო ხელშეკრულება დადოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რამდენიმე სხვა კაპიტალისტურ ქვეყანასთან, სსრ კავშირისა და ჩინეთის მონაწილეობის გარეშე, სსრ კავშირი მოითხოვს, რომ იაპონიის საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს ყველა სახელმწიფომ, რომელთა შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის წინააღმდეგ ომში. ამ ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა ჩაეყაროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა, დიდ ბრიტანეთსა, სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის შეთანხმებით პოტსდამის დეკლარაციის შესაბამისად. ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა ყოველმხრივი საზავო ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ. კერძოდ, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არ შეიძლება დაიდოს საზავო ხელშეკრულება, თუ მონაწილეობას არ მიიღებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა".

განცხადებაში შემდეგ ნათქვამია, რომ „იოსიდას კაბინეტსა და იმპერიალისტებს სურთ განაგრძონ იაპონიის ოკუპაცია ამერიკის არმიის მიერ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგაც, შეაიარაღონ იაპონია სსრ კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად და გამოიყენონ იაპონიის ტერიტორია, მრეწველობა და ხალხი თავისი იმპერიალისტური სამხედრო მიზნების განსახორციელებლად".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომუნიკე

პარიზი, 20 ივლისი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

ბრესტის სამხედრო ტრიბუნალმა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და იძულებითი მუშაობა მიუსაჯა სამხედრო მეზღვაურს ანრი მარტენს. მისი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მან გამოხატა ფურცლებში ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობის მისწრაფება ვიეტნამში ომის შეწყვეტისადმი. ომის პოლიტიკის დასაცავად გამოტანილი ეს უსამართლო განაჩენი სამარცხვინო ლაქაა მთავრობისათვის, რომელმაც უკარნახა იგი ტრიბუნალს. იმ დროს, როცა ყოფილ ფრან-ტირერსა და პარტიზანს ანრი მარტენს სამხედრო წოდების ჩამორთმევა მიესაჯა, ამავე მთავრობამ გაათავისუფლა ჰიტლერელი გენერალი რამკე—ბრესტის ჯალათი, და გერმანელი რევანშისტები ქება-დიდებას ასხამენ მას, როგორც ეროვნულ გმირს.

მიესალმება რა მამაც მეზღვაურს, რომელმაც სასამართლოში კეთილშობილურად იკისრა მთელი პასუხისმგებლობა იმ კამპანიისათვის, რასაც იგი ეწეოდა მშვიდობის დასაცავად, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საფრანგეთის ხალხს უპასუხოს ამ გამოლაშქრებას. ხალხის პროტესტის უდიდესმა აზვირთებამ უნდა გამოსტაცოს ანრი მარტენი კატორღას. ამიერიდან ეს სამართლიანობისა და პატრიოტიზმის საქმე განუყრელად დაკავშირებულია ვიეტნამში მშვიდობისათვის ბრძოლასთან.

ამერიკის თვითმფრინავების ახალი თავდასხმა ჩინეთზე

პეკინი, 20 ივლისი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება დაიწყო კორეაში დროებითი ზავის შესახებ, ამერიკის თვითმფრინავებმა არაერთხელ დაარღვიეს ჩინეთის საჰაერო საზღვრები, მოახდინეს დაზვერვა, ცეცხლი დაუშინეს და დაბომბეს ჩინეთის ტერიტორია.

11 ივლისს 20 საათსა და 42 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა ქალაქ ძიანისა და ფუიოუძის თავზე ძიანის სამხრეთ-დასავლეთით და დაზვერვა მოახდინა.

12 ივლისს 20 საათსა და 30 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა რაიონში დატუნკოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ანდუნის მახლობლად, გადაუფრინა ქალაქ ანდუნს, ცეცხლი დაუშინა მას, ხოლო შემდეგ დასაზვერავად გადაუფრინა ლაოკუკოუსა და ტანშანჩენის რაიონს ფინჩენის მაზრაში.

იმავე დღეს 20 საათსა და 31 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა ფუიოუძის თავზე ქალაქ ძიანის სამხრეთ-დასავლეთით და ანპინხეს თავზე კუანდიანის მაზრაში.

იმავე დღეს 22 საათსა და 15 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა გადაუფრინა ქალაქ ძიანს, აგრეთვე ფუიოუძეს და ტუნტიანკოუს.

13 ივლისს 20 საათსა და 29 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა ჩანტიანხეკოუს თავზე კუანდიანის მაზრაში.

იმავე დღეს 20 საათსა და 31 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი დაფრინავდა ჩანპაის მაზრაში.

14 ივლისს 20 საათსა და 39 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა დასაზვერავად გადაუფრინა ფუიოუძეს ძიანის მაზრაში, ამ მაზრის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებს, აგრეთვე სამაზრო ქალაქ ხუანჯენსა და რაიონებს კუანდიანისა და ტანშანჩენის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და დასავლეთით ფინჩენის მაზრაში.

15 ივლისს 21 საათსა და 03 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა შუიფინისა და ჩანტიანხეკოუს თავზე.

იმავე დღეს 21 საათსა და 03 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა გადაუფრინა დატუნკოუსა და ლუნვანმიაოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონის ანდუნის მიდამოებში, შემდეგ 3 ბომბი ჩამოაგდო სოფელ ლანძიალინში და გაფრინდა.

16 ივლისს 20 საათსა და 50 წუთზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა ქალაქ ძიანის აღმოსავლეთით მდებარე რაიონისა და ფუიოუძის რაიონის თავზე და მოახდინა დაზვერვა.

კიდევ უფრო ადრე,—მას შემდეგ, რაც რიჯუეიმ 30 ივნისს გამოაქვეყნა თავისი განცხადება დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების მხარდასაჭერად, — ამერიკის თვითმფრინავები არაერთხელ შეიჭრნენ ჩინეთის საჰაერო სივრცეში. სწორედ იმ დღეს, როდესაც რიჯუეიმ თავისი განცხადება გააკეთა, ამერიკის თვითმფრინავებმა სამჯერ დაარღვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვრები. არსებული ცნობებით, 1-დან 9 ივლისამდე ამერიკის 17 თვითმფრინავმა 17-ჯერ გადალახა ჩინეთის საზღვრები. 5 ივლისს 22 საათსა და 40 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა ჩანტიანხეკოუს კუანდიანის მაზრაში.

ინგლის-ამერიკის ჩარევა ირანის საშინაო საქმეებში

თეირანი, 20 ივლისი. (საქდესი). ირანის მეჯლისის რამდენიმე დეპუტატმა შეკითხვები შეიტანა თეირანის 15 ივლისის დემონსტრაციის [illegible]

როგორც საქმეს გაცნობილი პირები იუწყებიან, ამჟამად საავადმყოფოებში იმყოფება 350-ზე მეტი დაჭრილი. ეს მოწმობს, რომ დაზარალე[illegible]

ფრანკოსთან სამარცხვინო და საზიზღარი გარიგების წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეთანხმებას ფრანკოსთან. განცხადებაში ნათქვამია:

„ფრანკისტულ ესპანეთთან შეთანხმება, რაც სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, ახალი ამაშფოთებელი მაგალითია, რომელიც იმას მოწმობს, რომ ძველი ფაშისტური „ღერძის" დროშა ამჟამად ხელთ უპყრია ამერიკის იმპერიალიზმს. სამხედრო კავშირი ესპანელი ხალხის ჯალათთან, რომელიც ხელისუფლების სათავეში ჰიტლერმა და მუსოლინიმ დააყენეს, იმ დანაშაულებრივი სამხედრო პოლიტიკის გვირგვინია, რომელმაც „დემოკრატიის დაცვის" ლოზუნგით უკვე მოიპოვა დემოკრატიის ისეთ „მტკიცე დამცველთა" მხარდაჭერა, როგორიც არიან საბერძნეთი, თურქეთი, ჩან კაი-ში და გერმანიის ნაცისტი გენერლები და იუნკრები. ამერიკის ხმა და შეგნებამ პროტესტი უნდა განაცხადოს ამ სამარცხვინო საზიზღარი გარიგების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ფრანკო დაამკვიდრონ ხელისუფლების სათავეში და მის სისხლიან დიქტატურას დახმარება გაუწიონ ამერიკული იარაღითა და ფულით ესპანელი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ გარიგების შედეგად დაქირავებულ ფაშისტ აგენტებს გამოიყენებენ ევროპის ხალხთა წინააღმდეგ, ხოლო ესპანეთის ბაზებს — ომის გასაჩაღებლად და იმისათვის, რომ გააძლიერონ უოლ-სტრიტის ბატონობა მის სატელიტებზე.

ის პროფკავშირული მოღვაწეები და ლიბერალებიც კი, რომლებმაც მოიწონეს სამხედრო პროგრამა, ილაშქრებენ ფრანკოსთან ყოველგვარი გარიგებისა და მისთვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ. დაიცავენ ისინი სიჩუმეს და მიიღებენ ამ შეთანხმებას, თუ დაამტკიცებენ, რომ გულწრფელია მათი ოპოზიცია ფრანკოსთან გარიგების წინააღმდეგ? მათ შეუძლიათ დაამტკიცონ ეს მხოლოდ ერთი საშუალებით: მოითხოვონ ამ პოლიტიკის შეცვლა და მის წინააღმდეგ დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი. ყველა პროგრესულმა ადამიანმა და მშვიდობის მომხრემ ჩვენს ქვეყანაში უნდა მიაღწიონ იმას, რომ გააერთიანონ საერთო მოქმედებისათვის მთელი ძალები, რომელნიც ილაშქრებენ ფაშისტ ფრანკოსთან სამხედრო კავშირების წინააღმდეგ. არავითარი სამხედრო კავშირი ფაშისტურ ესპანეთთან! მოვითხოვთ კორეაში ცეცხლის შეწყვეტას და ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას!"

ფეხბურთი

გუშინ გორკში თბილისის „სპარტაკისა" და ადგილობრივი „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი: მოწინავე სტატია—„მაღლა ავწიოთ საბჭოთა სპორტის დროშა".

უხვი მოსავალი ყვარელში.

საუბარი საქართველოს მეშახტეთა დელეგაციის ხელმძღვანელთან ამხ. ა. ვარდიშვილთან: რა ვნახეთ დონბასში.

მეორე გვერდი: მიმოხილვა „ჩვენი ძლიერი სამშობლო" — კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე. მეცნიერების სახახლე.

ბ. ბორისოვი — „რუსული ფერწერის კლასიკოსი" (25 წელი ვ. მ. ვასნეცოვის გარდაცვალებიდან).

„პრავდის" 21 ივლისის მოწინავე სტატია — „სოციალისტური შეჯიბრება და პრესა".

განყოფილება „აღმოსავლეთის ქვეყნებში". უცხოეთის ინფორმაცია.

მესამე გვერდი: ა. ფარულავა—„მასობრივობისა და ოსტატობისათვის"; ი. კიზირია—„სოფლის ფიზკულტურელები", კ. ნაჭყებია—„ახალი პაპიდრომი".

მეოთხე გვერდი: დღიური „ვულკანზე" — ნ. რატიანისა. სადღეისო თემებზე—„მოსწავლეთა დასვენება"—ნ. მეროვისა. ნატურალისტის შენიშვნები „შუა ზაფხულში"—ე. ქიქოძისა და ა. აბულაძისა.

უცხოეთის ინფორმაცია.

ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

დიად სამუშაოთა ეპოქა

(დასასრული)

დროის მიხედვით, არამედ თვისებრივადაც, რადგან მოწყობილი იქნება მიწის მორწყვის პროგრესული საბჭოთა წესების გამოყენების საფუძველზე.

* * *

რწყვა უხსოვარ დროში წარმოიშვა. არქეოლოგიურმა გათხრებმა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და შუა აზიის ჩვენი რესპუბლიკების ტერიტორიაზე დაამტკიცა, რომ რწყვა ამ ქვეყნების არსებობის საფუძველი იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი წარმოიშვა ჩვენს დრომდე სულ ცოტა 8-10 ათასი წლის წინათ. ამას ადასტურებს სარწყავ მინდვრებზე საუკუნეთა განმავლობაში დალექილი მრავალი მეტრი სისქის ფენებიც.

მრავალი ათასი წლის განმავლობაში კაცობრიობამ უდაბნოებს, ნახევრადუდაბნოებსა და გვალვიან ველებს წაართვა მხოლოდ 90 მილიონამდე ჰექტარი, ანუ ამ მიწების საერთო ფართობის 2,5 პროცენტი. მეტწილად ეს ის ქვეყნებია, სადაც მიწები ძველადვე ირწყვებოდა, — ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, ავღანეთი, ჩვენი შუა აზიის რესპუბლიკები და სხვები.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი მორწყავენ და წყლით უზრუნველყოფენ 28 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობს. ამ ციფრების — 90 და 28 — უბრალო შედარებაც კი კანონიერი სიამაყით ავსებს ჩვენს გულს. სულ რაღაც შიდ წლიწადში — ისტორიული მასშტაბით სულ მცირე ვადაში—საბჭოთა ხალხი ინტენსიურ კულტურულ მიწათმოქმედებას შეუერთებს იმ სივრცის თითქმის მესამედს, რომლის მორწყვისთვისაც ათასეული წლების განმავლობაში აუტანელ ჯაფას ეწეოდნენ მილიონობით ადამიანები ფარაონების, ხანებისა და მემამულეების უღელქვეშ! ხოლო რწყვის გარდა კომუნიზმის მშენებლობანი მოგვცემენ კიდევ მსოფლიოში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებს, სანაოსნო არხებს, წყალსადენებს, წარმოშობენ მრავალ ახალ დაბასა და ქალაქს.

ჩვენს თვალწინ, ჩვენი მონაწილეობით ხორციელდება ბუნების ნამდვილი გარდაქმნა, ხორცს ისხამს წარსულის საუკეთესო ადამიანთა ოცნება. და მთელი ეს სასწაულები შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების მეოხებით, რომელმაც უმაგალითო შემოქმედებითი ძალები გამოაღვიძა ჩვენს ხალხში.

მოკლე ხანში უნდა შესრულდეს მიწისა და ბეტონის კოლოსალური მოცულობის სამუშაოები, აშენდეს მრავალი ათასი კილომეტრი ელექტროგადაცემის ხაზები, გადაიჭიმოს ათასობით კილომეტრი ლითონის მილსადენები, აიგოს ასობით სატუმბავი სადგური.

სამუშაოთა ეს გაქანება გმირული შრომისათვის აღაფრთოვანებს მშენებლებს. ჩვენ ვიცით, რომ ვოლგა-დონის არხზე გეგმები სრულდება არამარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც. უეჭველია, რომ იგივე განმეორდება კომუნიზმის სხვა მშენებლობებზეც. სოციალისტური მრეწველობა უხვად ამარაგებს მშენებლებს შესანიშნავი მანქანებითა და მექანიზმებით, რომლებიც ჩვენი ადამიანების უნარიან ხელში სასწაულებს ახდენენ.

მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია კომუნიზმის მშენებლობებისაკენ. მთელი დედამიწის პატიოსან ადამიანებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი, აღმშენებლობითი შრომა, რაც მიმართულია ბუნების ძალების დამორჩილებისაკენ, არ შეუძლიათ არ შეადარონ იმპერიალისტთა ხროვის დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელნიც იმაზე ოცნებობენ, რომ ახალი ომის ხანძარი გააჩაღონ.

სწორედ მშვიდობიან შრომაშია ჩვენი საქმეების დიადი სიმართლე. და ეს სიმართლე გაიმარჯვებს!

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე [illegible])

22 ივლისს

[illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი [illegible] და უფიცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible]